ზამთრის ოლიმპიური თამაშები · გრენობლი 1968

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 33 (3517)

17

1968 წ. თებერვალი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინულის ჯადოქრები

გრენობლი, 15 თებერვალი. ოლიმპიური შეჯიბრება ყინულის სასახლეში წყვილთა ფიგურული სრიალის საბჭოთა სკოლის ტრიუმფით დამთავრდა. ლენინგრადელებმა — ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა შეინარჩუნეს ოლიმპიური ჩემპიონობის ტიტული, რომელიც ოთხი წლის წინ მოიპოვეს ინსბრუკში. ვერცხლის მედლები მოსკოველებს — ტ. უუკსა და ა. გორელიკს ხვდათ. ჩემპიონთა თანამემამულეებმა — თ. მოსკვინამ და ა. მიშინმა სპატიო V ადგილი მოიპოვეს. ოლიმპიური თამაშების ისტორიას არ ახსოვს სხვა მაგალითი, რომ საუკეთესოთა ექვსეულში ერთი ქვეყნის სამ წყვილს დაეკავებინოს ასეთი ადგილები.

ბრინჯაოს მედლები მიიღეს გფრ-ის სამგზის ჩემპიონებმა მ. გლოკსჰუბერმა და ვ. დანემ.

გრენობლმა განუზომელი ინტერესი გამოიჩინა ყინულზე ბალეტის ამ ჯადოსნური სანახაობის მიმართ. სასახლის შესასვლელთან ზედმეტი ბილეთის მაძიებელთა მთელი არმია იდგა.

12 ათასი ილბლიანი (ამას დაუმატეთ ტელემაყურებელთა მილიონები) გახდა მოწმე მსოფლიოს საუკეთესო 18 წყვილის მიმზიდველი გამოსვლისა. სანახაობის კულმინაცია იყო მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა — ბელოუსოვასა და პროტოპოპოვის გამოსვლა.

ლიუდმილამ და ოლეგმა არც ახლა უღალატეს შემოქმედებითი ძიების ტრადიციას და ოლიმპიადისთვის ახალი ნებისმიერი პროგრამა მოამზადეს. ეს პროგრამა მარტო ახალი კი არა, სავსებით უჩვეულოც იყო. იგი ალბათ ფიგურული სრიალის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი. ამ პროგრამას კლასიკური უნდა ვუწოდოთ, — სპორტის ჰარმონიისა და ხელოვნების განსახიერება. მუსიკა საოცარ შთაბეჭდილებას ქმნის. დარბაზში ულერს



ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია, რომელიც უკვე 160 წლისაა და რომელიც დღესაც აღფრთოვანებს სამყაროს. „წყვდიადიდან — სინათლისკენ, ბრძოლის გზით — გამარჯვებისკენ“, აი, მისი შინაარსი, რომელიც საოცარი ოსტატობითაა გახსნილი ბელოუსოვასა და პროტოპოპოვის შოძრაობებში. იშვიათია, რომ სპორტსმენმა მაყურებელს ესოდენ დიდი ძალით მისცეს განცდისა და აზროვნების სარბიელი. მუსიკალური ფონი ხშირად იცვლება და ფიგურისტთა შესრულებულ ყოველ გადასვლაში მნახველი რაღაც ახალ აღმოჩენას აკეთებს.

არ გეგონოთ, რომ ბელოუსოვასა და პროტოპოპოვის გამოსვლა დაფნებისკენ იოლი გასეირნება იყო. არა, მათ ძლიერ მეტოქეობას უწევდნენ, პირველ ყოვლისა, საბჭოთა სპორტსმენები უუკი და გორელიკი, რომლებიც ტრავმის გამო თითქმის ორ წელიწადს არ გამოდიოდნენ ყინულზე.

ტატიანამ და ალექსანდრემ ვერ დაამთავრეს ასპარეზობა სსრ კავშირის წლევანდელ ჩემპიონატში. ამ წყვილის ოლიმპიურ გუნდში შეყვანას ზოგი შეცდომადაც კი თვლიდა. მაგრამ მოსკოველები გრენობლში ჩინებულად გამოვიდნენ. სავალდებულო პროგრამის შემდეგ ისინი კვალში მიჰყვებოდნენ ლიდერებს და ნებისმიერი პროგრამაც მშვენივრად შეასრულეს, თავი გამოიჩინეს უზადო ტექნიკით.

უუკმა და გორელიკმა მიიღეს შეფასება, რომელიც მხოლოდ გამარჯვებულთა შედეგს ჩამოუვარდება. მათი მწვრთნელია 1960 წლის ოლიმპიადის მონაწილე, ფიგურული სრიალის საიდუმლოებათა ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე ს. უუკი. მისი ხელმძღვანელობით ტატიანამ და ალექსანდრემ სწრაფად აღიდგინეს სპორტული ფორმა და პირველად მოიპოვეს ოლიმპიური ვერცხლის მედლები.

როგორც ყოველთვის, ახლაც დამაჯერებლად და თანაბრად ასპარეზობდნენ გდრ-ის ორგზის ჩემპიონები ჰ. შტაინერი და ჰ. ვალტერი. ძალიან რთული პროგრამით წარმოგვიდგნენ და-ძმა კაუფმანები (აშშ). სამწუხაროდ, ისინი ორჯერ დაეცნენ. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ი. მიულერმა და ჰ. დამერმა (გდრ), ჩეხოსლოვაკიელებმა ბ. შრამკოვამ და ი. შრამეკმა (საკდესი).

* * *

სურათზე: „ვერცხლის“, „ოქროსა“ და „ბრინჯაოს“ წყვილები. მარცხნიდან — ტ. უუკი — ა. გორელიკი, ლ. ბელოუსოვა — ო. პროტოპოპოვი, მ. გლოკსჰუბერი — ვ. დანე.



17 თებერვალი

თამაშების პროგრამაშია:

1. **ციგურები.** ვაკთა რბოლა 10.000 მეტრზე — 11 ს. 00 წ;

2. **თხილამურები.** ვაკთა რბოლა 50 კილომეტრზე — 11 ს. 30 წ;

3. **სამთო თხილამურები.** ვაკთა სლალომი (ფინალი) — 15 ს. 00 წ;

4. **ჰოკეი.** აშშ — ფინეთი — 17 ს. 00 წ;

5. **ჰოკეი.** შვეიცია — ჩეხოსლოვაკია — 20 ს. 30 წ;

6. **ჰოკეი.** სსრ კავშირი—კანადა — 24 ს. 00 წ.

ტელეეკრანებზე ნახავთ:

1. **ციგურები.** ვაკთა რბოლა 10.000 მეტრზე — 17 ს. 30 წ;

2. **ჰოკეი.** შვეიცია — ჩეხოსლოვაკია — 20 ს. 30 წ;

3. **ჰოკეი.** სსრ კავშირი — კანადა — 24 ს. 00 წ.

რადიოთი მოისმენთ:

1. **ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე** — 19 ს. 50 წ;

2. **ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე** — 24 ს. 00 წ;

3. **ჰოკეი.** სსრ კავშირი — კანადა — 00 ს. 50 წ.

ოტრანში მოპოვებული პირველი „ოქრო“

ბიატლონისტთა ესტაფეტა (4 × 7,5 კმ) პირველად წელს შეიტანეს თეთრი თამაშების პროგრამაში. ამიტომ გასაგები იყო ის ინტერესი, რაც მონაწილე ქვეყნებმა გამოიჩინეს ამ ახალი სახეობისადმი. სპორტსმენები დიდხანს ემზადებოდნენ სტარტისთვის. შეჯიბრება უამინდობის გამო დღის მეორე ნახევრამდე არ დაწყებულა.

ასპარეზობა საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. გუნდმა დაისაკუთრა ოლიმპიადის ოქროს მედალი. ოთხივე სპორტსმენმა გამოავლინა მაღალი საბრძოლო თვისებები — შეუპოვრობა, გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა. წარმატებისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯი გაიკეთა ჩვენი გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, ციმბირელმა ა. ტიხონოვმა. პირველ ეტაპზე მან 44 წამი მოუგო პირველ ეტაპზე შვედ არვიდსონს და თითქმის 2 წუთამდე ნორვეგიელ ვერხაუგს. მაშინ არავინ იცოდა, რომ ეს განსხვავება საკმარისი გამოდგებოდა გამარჯვების მოპოვებისთვის. ტიხონოვის უპირატესობა კიდევ უფრო განამტკიცა ლენინგრადელმა ნ. პუზანოვმა. ნოვოსიბირსკელმა ასპირანტმა ვ. მამატოვმა კი ჩვენი გუნდი უფრო დაწინაურა. განსაკუთრებული სიმძაფრით აღინიშნა უკანასკნელი ეტაპი. ვ. გუნდარცევმა ბოლო ტყვიით დააზიანა მეხუთე სამიზნე და გზა განაგრძო. მის უახლოეს მეტოქეს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ნორვეგიელ ი. ისტადს ნერვებმა უმტყუნა. მან ორჯერ დააცილა სამიზნეს, რის გამო „ზეგეგმითი“ დისტანციის გავლით დაჯარიმდა.

როგორც იყო, ოტრანში მოპოვებულ იქნა ოქრო, რომელსაც საბჭოთა მოთხილამურეებისგან დიდი ხანია ელოდნენ ჩვენი სპორტის გულშემატკივრები. საბჭოთა გუნდის დროა 2:13.2,4. II ადგილზეა ნორვეგია — 2:14.50,2, III — შვეცია — 2:17.26,3.

ა. ტიხონოვი



ნ. პუზანოვი

ვ. მამატოვი

ვ. გუნდარცევი

მედლები და ქულები

მდგომარეობა 16 თებერვლისთვის

	ოქრო	ვერცხ.	ბრინჯ.	IV ადგ.	V ადგ.	VI ადგ.	ქულა
სსრ კავშირი	3	4	2	3	3	5	69
ნორვეგია	4	4	1	3	1	2	63
საფრანგეთი	3	3	1	2	2	1	51
ავსტრია	2	1	3	3	4	1	49
ფინეთი	1	2	2	3	5	2	46,5
ჰოლანდია	2	2	3	0	2	0	40
შვეიცია	2	1	2	2	2	2	39
აშშ	1	2	2	2	3	2	36,5
გფრ	2	2	2	0	0	2	34
იტალია	3	0	0	0	2	2	27
გდრ	0	2	2	1	0	1	22
შვეიცარია	0	2	2	0	1	0	20
ჩეხოსლოვაკია	1	0	1	1	0	1	15
პოლონეთი	0	0	0	4	1	1	15
კანადა	1	1	0	0	0	0	12
ინგლისი	0	0	0	1	1	1	6
რუმინეთი	0	0	1	0	0	0	4
უნგრეთი	0	0	0	0	0	1	1

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ნახევარი დისტანციის მიჯნაზე

ჩვენი ინტერვიუ



თბილისი. სპორტის სასახლე. 14 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 84:64 (34:34)

„დინამო“: სხიერელი (14), ქორქია (17), ლეფავა (15), ალთაბაევი (9), უგრეხელიძე (14), ნარიმანიძე (2), მაღალაშვილი (4), ბოლქვაძე (2), მამალაძე (7), ჩიხლაძე, ფიცხელაური.

„ურალმაში“: კანდელი (6), ერემეევი (12), მარკადეევი (12), ივანოვი (12), ბალვაჩოვი (10), ჩერნი (2), კოროსტილიოვი (2), ლატიპოვი (2), ნიკოლაენკო (6), მიშაკოვი, კოფინი.

მსაჯები: ა. ბურნაცე (სიმფეროპოლი), ა. ნოვოსარდიანი (ერევანი).

თბილისი. სპორტის სასახლე. 15 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 87:66 (34:31).

„დინამო“: სხიერელი (10), ქორქია (17), ნარიმანიძე (13), ლეფავა (12), ალთაბაევი (8), უგრეხელიძე (6), მამალაძე (9), მაღალაშვილი (7), ლეონტიევი (2), ფიცხელაური (3), ჩიხლაძე.

„ურალმაში“: კანდელი (19), ერემეევი (10), ივანოვი (8), ბალვაჩოვი (8), კოროსტილიოვი (2), ნიკოლაენკო (11), ჩერნი (4), ლატიპოვი (4), მარკადეევი, ვორონცოვი, მიშაკოვი.

მსაჯები: ვ. ტიჩინინი (ლუგანსკი), ა. ბურნაცე (სიმფეროპოლი).

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დამთავრებას ოთხი მატჩი აკლია. ორ მათგანს დღეს და ხვალ თბილისის „ბურევესტნიკი“ და სვერდლოვსკის „ურალმაში“ გამართავენ. ცსკა-ა და რიგის არმიელთა შეხვედრის თარიღი კი ჯერ უცნობია. ამ გუნდებს ერთმანეთში იანვრის პირველ რიცხვებში უნდა ეთამაშათ, მაგრამ მაშინ მოსკოვის არმიელები საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ. ახლა კი თავისუფალი დრო არ გააჩნია არც ერთსა და არც მეორე კოლექტივს. როგორც ჩანს, გამოტოვებულ შეხვედრას ისინი კიდევ კარგა ხანს ვერ გამართავენ და ჩვენც საშუალება არ გვექნება საბოლოოდ დავაჯამოთ პირველი 2 წრის შედეგები.

ერთი რამ კი ჯერჯერობით ეჭვს არ იწვევს: თბილისის „დინამომ“ საშუალედო ფინიში I ადგილზე დაამთავრა და ნახევარი დისტანციის გავლის შემდეგ ოქროს მედლებისთვის მებრძოლ კოლექტივებს სათავეში ჩაუდგა. ეს ცხადი გახდა სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ მოპოვებული ორი გამარჯვების შემდეგ.

ხვეთა შორის, მეორე მატჩი პირველის ზუსტ განმეორებას წარმოადგენდა. არაფერი რომ ვთქვათ ქულათა თითქმის ერთნაირ ხვეობაზე (პირველი დინამოელებმა 20 ქულით მოიგეს, მეორე — 21-ით), ეს შეხვედრები ანალოგიურნი იყვნენ შინაარსითაც. თბილისელებმა ორივე მატჩში კატეგორიული „პრრტესტი“ გამოუცხადეს დაცვას. ისინი ოდნავადაც არ უშლიდნენ ხელს მეტოქეს შეტევის დროს და მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ურალელებზე შეტი ბურთი გაეტანათ. ასეთმა ტაქტიკამ ორივე მატჩი უინტერესო გახადა, მაგრამ მასპინძლებმა გაიმარჯვეს და საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით. გამარჯვებულებს კი, როგორც იცით, არ ასამართლებენ.

მიმდინარე ჩემპიონატის მთავარ სენსაციად უნდა მივიჩნიოთ ბოლო წლების აღიარებულ ლიდერთა ძალზე მერყეული მდგომარეობა. ცსკა-მ გათამაშების სტარტზე თავის გულშემატკივრებს ბევრი უსიამოვნო წუთი განაცდევინა: შემდგომში მან მდგომარეობა გამოასწორა, ახლა კი დაკარგული ქულებით თბილისის დინამოელებთან და ლენინგრადის სპარტაკელებთან I-III ადგილებს იყოფს. მაგრამ 7 დაკარგული ქულა იმას მეტყველებს, რომ მრავალგზის ჩემპიონისთვის ძველი და სეტარი დრო წავიდა. კიდევ უფრო ცუდად აქვს საქმე ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ვიცე-ჩემპიონს კიევის „სტრო�ტელს“, რომელიც სატურნირო ცხრილში მხოლოდ VI ადგილზე იმყოფება.

თბილისის „ბურევესტნიკი“ ჩემპიონატის II წრეს ხვალ დამთავრებს. როგორიც არ უნდა იყოს ბოლო ორი შეხვედრის შედეგი, ერთი რამ ცხადია: ჩვენი გუნდი, უკვე განაღდებული 8 ქულით, „ა“ კლასის უმაღლეს ლიგას მტკიცედ შემორჩა. ახლა მისი მთავარი ხაზრუნვაა მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება.

სურათზე: თბილისის „დინამოსა“ და სვერდლოვსკის „ურალმაშის“ გუშინდელი შეხვედრის ერთი მომენტი. ბურთითაა დინამოელი ა. ლეფავა.

ფოტო ვ. ზარგარიანისა.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბილისი)	22	15	7	1643—1505	15
„ხპარტაკი“ (ლენინგრადი)	22	15	7	1603—1498	15
ცსკა (კიევი)	22	14	8	1498—1444	14
ცსკა	20	13	7	1241—1175	13
„კალევი“ (ტარტუ)	22	13	9	1461—1403	13
„სტროიტელი“ (კიევი)	22	12	10	1408—1404	12
ვეფ (რიგა)	22	11	11	1603—1566	11
„ველბირსი“ (კაუნასი)	22	11	11	1571—1560	11
ასკ (რიგა)	20	9	11	1454—1458	9
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	20	8	12	1289—1292	8
„ბურევესტნიკი“ (ბაკო)	22	4	18	1572—1821	4
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	20	3	17	1403—1610	3

„გურნიკი“ კვლავ იმარჯვებს

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 16 თებერვალი.

„ტორპედო“ (ქუთაისი)—„გურნიკი“ (ზაბუე) 0:2 (0:0).

„ტორპედო“: კვასხვაძე (ნარსია), წვერავა, წივწივაძე, ტბრალიძე, ლოსაბერიძე, ახიტაშვილი, ვეკუა, ერქომაიშვილი, ხერხაძე, ხაფალია, ჭითანავა.

„გურნიკი“: გომოლო, კუხტა, ოსლიზლო, ლატოხა, გორგონი, ფლორენსკი, დეია, ოლეკი (ლენტნერი), მუსიალეკი, ლიუბანსკი, შოლტისეკი (კოვრონე).

მსაჯი თ. ველიევი (ბაკო).

ქუთაისის ტორპედოელები საკმაოდ კარგად იცნობენ პოლონეთის საუკეთესო გუნდს — „გურნიკს“. თბილისში სტუმრების მიერ ზედიზედ ჩატარებულ 3 მატჩს უნდა დავუმატოთ ისიც, რომ შარშან „გურნიკმა“ ქუთაისში ითამაშა „ტორპედოსთან“ (ფრე — 0:0). ამიტომ ჩვენ ფეხბურთელებს შესწავლილი ჰქონდათ ამ გუნდის სუსტი და ძლიერი მხარეები, მოთამაშეთა თავისებურებანი, სამოქმედო სქემა. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ტორპედოელები დღისით სასტუმროში ეწვევნენ თავიანთ მომავალ მეტოქეებს, სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს მათ და წარმატება უსურვეს ინგლისის ჩემპიონთან შეხვედრებში.

ქუთაისელებმა კარგად დაიწყეს თამაში. ტემპი — მაღალი, ბურთის გათამაშება — დაუყოვნებელი, სწრაფი, შეტევაში — გაძლიერებული ძალები.

მაგრამ ჩვენ უკვე რამდენიმეჯერ ვნახეთ, რომ „გურნიკის“ დაცვა ყოველთვის სრულ მზადყოფნაში ხვდება მოწინააღმდეგის ძლიერ იერიშებს. პერსონალური დარაჯი და „მწმენდელი“ ამ გუნდს არა ჰყავს, ყველაფერი აგებულია ზუსტ დაზღვევაზე ზონაში, უმისამართო დარტყმებს მცველთა მხრივ თითქმის არ აქვს ადგილი. საკმარისია შცირე შესაძლებლობა და მუსიალეკი და ლიუბანსკი წამსვე იწყებენ კონტრშეტევას, რომელიც, როგორც წესი, საზიფათო მომენტით მთავრდება. ასე ჰქონდა „ტორპედოს“ სასგრძლივი ტერიტორიული უპირატესობა, ამ ორ ფორვარდს კი შეეძლო გაეხსნა ანგარიში.

30-ე წუთზე პოლონელებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე მოცელეს გარღვევაზე გასული ხაჯალია. დაინიშნა პენალტი. ერქომაიშვილმა ცრუ მოძრაობით სცადა გომოლოს მოტყუება, მაგრამ მეკარე არ შეცდა და აიღო ბურთი. ამასთან, დარტყმაც არ იყო მთლად ხვირიანი.

მიმდინარეობდა მატჩის 50-ე წუთი. კუხტამ შორიდან მიაწოდა კატთან. მაღალი ბურთი, მუსიალეკმა დაასწრო ნარსიას და ზუსტი თავური დარტყმით გაიტანა პირველი გოლი — 1:0.

72-ე წუთზე ლიუბანსკის ინდივიდუალური გარღვევა მეორე ბურთით დამთავრდა ტორპედოელთა კარში და, თუმცა, ეს უკანასკნელნი ბევრს ეცადნენ, ანგარიში მატჩის ბოლომდე არ შეცვლილა.

ზაბუეს „გურნიკმა“ დაამთავრა საწვრთნელი შეკრება თბილისში. გუნდი ხვალ მიემგზავრება საშობლოში, იქ ჩატარებს კიდევ ერთ სპარინგ-მატჩს, რის შემდეგ ითამაშებს ინგლისში, „მანჩესტერ იუნაიტედთან“.

რ. ქორიძე.

ჩემპიონი ვიცე-ჩემპიონის წინააღმდეგ

მოსკოვი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). კალათბურთელთა ბოლო საკავშირო ჩემპიონატების უცვლელმა ვიცე-ჩემპიონმა კიევის „სტროიტელმა“, ლენინგრადის შემდეგ აქ ორი კალენდარული მატჩი გამართა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონთან, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდთან. მასპინძლებს ძალზე გაუჭირდათ პირველი შეხვედრის მოგება. იყო მომენტი, როცა ახალგაზრდა არმიელმა კალათბურთელებმა კაპიტულაციის ნიშნად ხელიც კი ჩაიქნიეს, მაგრამ სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში იჩინა თავი ვეტერანთა (ტრავინი, ასტახოვი, კულკოვი) გამოცდილებამ, რომლებმაც ხელთ იგდეს ხადავეები და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს — 63:60.

ამ წარმატებამ არმიელებს საკუთარი ძალებისადმი რწმენა შთაუნერგა. განმეორებითი შეხვედრა მათ უფრო გაბედულად და თავისუფლად ჩაატარეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს კიდეც — 61:51.

მოგვყავს ტარტუს „კალევისა“ და კიევის არმიელთა ადრე გამართული განმეორებითი მატჩის შედეგი, რომელიც ჩვენს გაზეთში არ დაბეჭდილა. უკრაინელებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 74:61 (როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრა ტარტუში მასპინძლებმა მოიგეს).

ს. სარხოიანის სამი ოქროს მედალი

თბილისელმა მაგიდის ჩოგბურთელმა ს. სარხოიანმა დიდი წარმატება მოიპოვა ტალინში გამართულ სსრ კავშირის პირად პირველობაში. მან მოიგო ერთეულთა, წყვილთა (ერევნელ გ. ვართანიანთან ერთად) და შერეულ წყვილთა (ბაქოელ რ. პოლოხოვასთან) შეჯიბრება.

ქალთა ერთეულებში უძლიერესი იყო მოსკოველი ზ. რუდნოვა, ქალთა წყვილებში — რ. პოლოხოვა და მოსკოველი ბ. ანისიმოვა.

„საჭადრაკო სესიების“ ფინიში

ოდესა, 16 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ დამთავრდა სტუდენტ მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობა. გადადებული პარტიების განახლების შემდეგ კაპენგუტმა პირველი დამარცხება აგუმა კუზმინს. ტუკმაკოვმა დიდი მონდომებით ითამაშა ტიმოშჩენკოსთან, მცირე უპირატესობა მძლავრ იერიშად აქცია და გაიმარჯვა. ბალაშოვმა მოუგო ცეშკოვსკის, ხოლო ალბურტი — პოდგაეცი და უბილავა — ცეშკოვსკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

აი, პირველობის საბოლოო ცხრილი: I—III. რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი), ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), გ. კუზმინი (ლუგანსკი) — 11—11, IV. ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი)—10, V—VI. თ. გიორგაძე (თბილისი), ა. კაპენგუტი (მინსკი), — 8,5—8,5, VII. ი. ბალაშოვი (მოსკოვი)—8, VIII—IX. ა. შმიდტი (რიგა), ვ. ფაიბისოვიჩი (ლენინგრადი) — 7,5—7,5, X. ლ. გრიგორიანი (ერევანი) — 7, XI. ვ. ცეშკოვსკი (ომსკი) — 6,5. XII—XIII. მ. პოდგაეცი, ლ. ალბურტი (ორივე — ოდესა) — 6—6, XIV. გ. ტიმოშჩენკო (ჩელიაბინსკი) — 5, XV. ე. უბილავა (თბილისი) — 4, XVI. ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი) — 2,5.

პირველობის საზეიმო დახურვისას გამარჯვებულებს ჯილდოები გადაეცათ. საგანგებო პრიზები მიიღეს: რ. ჯინჯიხაშვილმა — საუკეთესო შედეგისთვის I—V ტურებში (4,5 ქულა), ვ. ტუკმაკოვმა — საუკეთესო შედეგისთვის XI—XV ტურებში (5 ქულა) და ე. უბილავამ, როგორც პირველობის ყველაზე ახალგაზრდა და შეუპოვარმა მონაწილემ.

ᲥᲮᲚᲘ ᲥᲐᲓᲔᲚᲘ

● **ბრნო**, 15 თებერვალი. ევროპის ჩემპიონთა თასზე პირველ მეოთხედფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი კლუბისა და ბელგიის „რესინგის“ კალათბურთელები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 76:67 (41:31).

● **მილანი**, 15 თებერვალი. კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის პირველ მეოთხედფინალში იტალიის „ხიმენტალმა“ მოუგო ესპანეთის პროვინციის ბადალონის გუნდს — 90:59 (45:25).

● **ხაარბრიუკენი**, 15 თებერვალი. სსრ კავშირის ხელბურთელთა ნაკრებმა თავისი ტურნეს მეორე მატჩიც წააგო, ამჯერად გფრ-ის ნაკრებთან — 14:15.

● **ვალენსია**, 15 თებერვალი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე წინა გათამაშებაში გამარჯვებულმა დასავლეთგერმანული კლუბის „ბავარიის“ (მიუნჰენი) ფეხბურთელებმა აქ ფრედ ითამაშეს ადგილობრივ „ვალენსიასთან“ — 1:1. ეს იყო პირველი. მეოთხედფინალური შეხვედრა. ანგარიში გახსნა ესპანელმა ვილარამ. შესვენების შემდეგ ესპანელებმა მეორე ბურთიც გაიტანეს... საკუთარ კარში.

სეკრეტი გაიგეს

შარშან „ლელოს“ 31 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ამოცანა-ხუმრობა სწორად ამოხსნეს: მ. ფარცხალაძემ (ქუთაისი), ვ. გოგოჭურმა (გარდაბანი) ტაიონი, სოფ. სართიჭალა) და ნ. ლომაიამ (ცხაკაია). თეთრი პიკი e4 უჯრაზე უნდა დაისვას.

ფეხბურთი ᲘᲡᲔᲕ „ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“

გუშინ დამთავრდა ნორჩ ფეხბურთელთა საინტერესო ტურნირი (6×6), რომელსაც მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს თბილისის სპორტის სასახლეში.

გათამაშების ფინალში ერომანეთს შეხვდნენ „ნაკადულის“ და სკოლა-ინტერნატის გუნდი. დამაბული მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. დაინიშნა 6-6 პენალტი (7 მეტრიდან) თვითეულ კარში. „ნაკადულმა“ უკეთ გამოიყენა საჯარიმოები და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2. გუნდს გადაეცა სპორტის სასახლის პრიზი და I ხარისხის დიპლომი. მომდევნო ადგილები დაიკავეს სკოლა-ინტერნატისა და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა. მათ გადაეცათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

ზამთრის X ოლიმპიური თამაშები · გრენობლი 1968

ციფრული ბიბლიოთეკა

რეკორდების დამცველები



ხურათზე: ფ. მაიერი დისტანციაზე.

ჩვენი სპორტსმენების წარუმატებლობას ვერც პოლ მისტრალის სახელობის პარკის საცეგურაოს დააბრალებ, ვერც უიღბლობას. 5000 მეტრზე ვაჟთა შეჯიბრების დროს საცეგურაო ბილიკები შესანიშნავი იყო. შედეგმაც არ დააყოვნა: ათმა მრბოლელმა ძველ ოლიმპიურ რეკორდზე (7.38,4) უკეთესი დრო აჩვენა. მათგან პირველად (მეორე წყვილში) ფინელმა სპორტსმენმა კ. კოსკინენმა (7.35,9) მოხსნა ნორვეგიელი კ. იუჰანესენის მიერ ინსბრუკში დამყარებული ოლიმპიური რეკორდი. მაგრამ დიდი ღიღ არც მის შედეგს ეწერა. მომდევნო გარბენში ჰოლანდიელმა კ. ფერკერკმა კოსკინენის მაჩვენებელი კი არა, ნორვეგიელი ფ. მაიერის მსოფლიო რეკორდიც უკან ჩამოიტოვა. მან 7 წუთსა და 23,2 წამში დაფარა დისტანცია. და აი, დადგა ფრედ მაიერის ჯერი. მან მაქსიმალური სისწრაფით დაიწყო რბენა და მთელ დისტანციაზე წინმავალთა გრაფიკზე უკეთ მიჰქროდა. ტაბლოზე აღინიშნა ახალი მსოფლიო რეკორდის მაუწყებელი შედეგი — 7.22,4. ფრედს უკვე ულოცავდნენ ოქროს მედალს, მაგრამ იგი მოკრძალებით უპასუხებდა: ჯერ ადრეა, ვნახოთ რას იზამს ნორვეგიელი პერ გუტორმსენი. გუტორმსენი კი IV ადგილს დასჯერდა — 7.27,8.

მაშ ასე, „ოქრო“ წილად ხვდა ფ. მაიერს, „ვერცხლი“ — კ. ფერკერკს, „ბრინჯაო“ — ჰოლანდიელ პ. ნოტეტს (მას მეათე გარბენში 7.25,5 ჰქონდა). V-VI ადგილები გაიყვეს შვედებმა — ი. ხვგლინმა (7.32,7) და ე. სანდლერმა (7.32,8).

ჩვენმა წარგზავნილებმა ვ. ლავრუშკინმა (7.37,9), ს. სელიანინმა (7.38,5) და ა. მაშკოვმა (7.41,9) შესაბამისად X, XI და XIV ადგილები დაიკავეს.

გუშინ ფაიმართა შეჯიბრება 1500-მეტრიან დისტანციაზე. საბჭოთა სპორტსმენები აქაც უხეიროდ გამოვიდნენ და ექვსეულში მათგან ვერც ერთი ვერ მოხვდა. ჩვენი მოცეგურავეებიდან საუკეთესო იყო ე. მატუსევიჩი (2.06,1). ა. კერჩენკომ 2.07,1 აჩვენა, ა. ანტსონმა — 2.07,2. ასეთივე შედეგი ჰქონდა ვ. კაპლანს. ოთხივე საბჭოთა სპორტსმენმა კორტინა დ' ამპეცოში ე. გრიშინისა და ი. მიხაილოვის მიერ დამყარებულ რეკორდზე (2.08,6) უკეთესი შედეგი მოიპოვა, მაგრამ, როგორც ხედავთ, წარმატებისთვის ეს უკმარი გამოდგა. ურიგო არ იქნება გავიხსენოთ წინა (ინსბრუკის) ოლიმპიადა. მაშინ ა. ანტსონი I ადგილზე გავიდა, ხოლო ლ. ზაიცევმა და ე. მატუსევიჩმა შესაბამისად V-VI ადგილები დაიკავეს.

ახალი ოლიმპიური რეკორდი და ოქროს მედალი მოიხვეჭა ჰოლანდიელმა კ. ფერკერკმა, რომელმაც დისტანცია „რეაქტიული“ სისწრაფით დაფარა — 2.03,4. ერთნაირი დრო (2.05,0) აჩვენეს ჰოლანდიელმა ა. სხენკმა და ნორვეგიელმა ი. ერიკსონმა: ორივეს ვერცხლის მედალი ერგო.

დღეს გაიმართება მოცეგურავე ვაჟთა ბოლო შეჯიბრება. ამჯერად სტაიერები 10.000-მეტრიან დისტანციაზე იასპარეზებენ.

კალმას ინტერვიუ

სახელგანთქმული ფრანგი ფიგურისტი ალენ კალმა, რომელმაც გრენობლის სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლი დაანთო, რეპორტიორთა ყურადღების ცენტრშია. კალმა საფრანგეთის მოთხილამურეთა ოლიმპიური გუნდის ეკიმია. როცა ინტერვიუ სთხოვეს, მან ღიმილით თქვა:

„ჩვეულებრივ, ჟურნალისტები ბოლოსთვის მოიტოვებენ ხოლმე შეკითხვებს პირად ცხოვრებაზე. მოდით, ჩვენ ამით დავიწყოთ. ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ ჩემი ახალგაზრდა მეუღლე. მე წლეულს დავოჯახდი და ამიტომ ოლიმპიური წელი ორმაგად ბედნიერი მგონია.

რა შემიძლია გითხრათ ამ შეჯიბრებაზე? ჩემი აზრით, ავსტრიელები — დანცერი და შვარცი ისეთ ზღუდეს ქმნიან, რომლის გადალახვაც თითქმის შეუძლებელია.

რაც შეეხება ჭალებს, მე რომ მკითხოთ, ევროპაში ახლა სიოკე დიიქსტრასთანა ტალანტი არ არის, თუმცა ჩეხოსლოვაკიელი, ავსტრიელი, გერმანელი, ფრანგი ფიგურისტებიც საკმაოდ ძლიერები არიან. ვფიქრობ, ოქროს მედალს ახლაც ოკანენს გადმა წაიღებენ, როგორც ეს მსოფლიო ჩემპიონატში მოხდა.

წყვილთა სრიალში საკითხავიც არაფერია. რუსების წყვილი მშვენიერია. მე დავესწარი ვარჯიშს და კვლავ უაღრესად გამოაცა წათმა, თუ შეიძლება ითქვას, სიმფონიურმა სრიალმა. ბელოუსოვასა და პროტოპოპოვის ვარჯიში უკვე იქცა სანახაობად, რომელსაც თითქმის ყველა ესწრება. სტადიონზე ამერიკელი კინოვარსკვლავი ოდრი ჰეპბერნიც კი ვნახე.

დასასრულ კალმამ ჟურნალისტებს უამბო, რა ასწავლა მას სპორტმა. მან მოიგონა, როგორ ეტკინა გული ინსბრუკში, როცა ფიქრობდა, რომ მსაჯებმა უსამართლოდ ჩამოართვეს ოლიმპიური ტიტული. „ახლა უფრო დაჭკვიანდი, — თქვა კალმამ, — და კარგად ვიცი, რომ ოლიმპიურ თამაშებში მთავარია არა ჩემპიონობა, არამედ მონაწილეობა“.

თხილამურები. ვაჟთა ესტაფეტა 4 × 10 კმ

1. ნორვეგია (ო. მარტინსენი, ჰ. ტილდუმი, ჰ. გრონინგენი, ო. ელეფსეტერი) — 2:08.33,5;
2. შვეცია — 2:10.13,2;
3. ფინეთი — 2:10.56,7;
4. სსრ კავშირი — 2:10.57,2;
5. შვეიცარია — 2:15.32,4;
6. იტალია — 2:16.32,2;

ციგურები. 500 მეტრზე ვაჟთა რბენა

1. ე. კელერი (გფრ) — 40,3;
2-3. ფ. ტომასენი (ნორვეგია) — 40,5;
2-3. რ. მაკდერმოტი (აშშ) — 40,5;
4. ე. გრიშინი (სსრ კავშირი) — 40,6;
5-7. ა. ჰერიუაუნე (ნორვეგია) — 40,7;
5-7. ჯ. უერსტერი (აშშ) — 40,7;
5-7. ნ. გლეიჩფორდი (აშშ) — 40,7;

წყვილთა ფიგურული სრიალი

1. ლ. გელოუსოვა — ო. პროტოპოპოვი (სსრ კავშირი) — 315,2;
2. ტ. უუკი — ა. გორელიკი (სსრ კავშირი) — 312,3;
3. ფ. გლოკნაუგერი — ვ. დანე (გფრ) — 304,4;
4. ჰ. შტაინერი — ჰ. ვალტერი (გდრ) — 303,1;
5. თ. ბოსკვინა — ა. მიშინი (სსრ კავშირი) — 300,3;
6. ს. და რ. კაუფმანები (აშშ) — 297,0.

სპორტული მარხილები. ქალთა ერთეულები

1. ე. ლეანერი (იტალია) — 2.28,66;
2. კ. შეუკი (გფრ) — 2.29,37;
3. ა. დუენჰაუტი (გფრ) — 2.29,56;
4. ჰ. მახერი (პოლონეთი) — 2.30,05;
5. ი. დამხე (პოლონეთი) — 2.30,15;
6. დ. ბელდოვა (ჩეხოსლოვაკია) — 2.30,35.

სპორტული მარხილები. ვაჟთა ერთეულები

1. ფ. შმიდტ (ავსტრია) — 2.52,48;
2. ტ. კელერი (გდრ) — 2.52,66;
3. კ. ბონსაკი (გდრ) — 2.53,33;
4. ზ. გავიორი (ჰოლონეთი) — 2.53,51;
5. ი. ფეიხტმანტლი (ავსტრია) — 2.53,57;
6. ჰ. კლენკი (გფრ) — 2:53,67;

თხილამურები. ქალთა გიგანტური სლალომი

1. ნ. გრინი (კანადა) — 1.51,97;
2. ა. ფამოზი (საფრანგეთი) — 1.54,61;
3. ფ. ბოშატეი (შვეიცარია) — 1.54,74;
4. ფ. სტიორი (საფრანგეთი) — 1.54,75;
5. ო. პალი (ავსტრია) — 1.55,61;
6. ი. მირი (საფრანგეთი) — 1.56,07;

ციგურები. ვაჟთა 5.000 მეტრზე რბენა

1. ფ.-ა. მაიერი (ნორვეგია) — 7.22,4 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი);
2. კ. ფერკერკი (ჰოლანდია) — 7.23,2;
3. ჰ. ნოტეტი (ჰოლანდია) — 7.25,5;
4. ჰ.-ვ. გუტორმსენი (ნორვეგია) — 7.27,8;
5. ი. ნიოგლინი (შვეცია) — 7.32,7;
6. ო. სანდლერი (შვეცია) — 7.32,8;
10. ვ. ლავრუშკინი (სსრ კავშირი) — 7.37,6.

პერსონალური ცეცხლი

გრენობლი სავსეა ხუვენირებით. ოლიმპიური რგოლებითაა შორთული კოვზები, სირჩები, ცხვირსახოცები, საფერფლეები, ჭუჭები... მაგრამ ყველაზე კარგი რეკლამა თავისი ხელოსნისთვის ფრანგულმა ასანთის ფაბრიკამ მოიგონა.

ხაწარმოს მეპატრონეებმა მაღაზიებში გამოიტანეს ფერადი ოლიმპიური რგოლებით მოხატული უამრავი ასანთის კოლოფი. კოლოფებს უკან აქვს წარწერა: „დაე, გული მუდამ თბილად გქონდეთ“, წინა მხარეს კი ამშვენებს ლოზუნგი: „თვითეულს — პერსონალური ოლიმპიური ცეცხლი!“

ამ რეკლამას კარგი ნაყოფი მოაქვს. პრესის ცნობით, გრენობლში უკვე გაიყიდა ათეული ათასობით კოლოფი „პერსონალური ოლიმპიური ცეცხლით“.

თოთრი ოლიმპიადის ტალღაზე

ჰანას რისკის გაწევა არ სურდა

ვ. კოუდელკა ჰანა მაშკოვას მეწვრთნელია. ჟურნალისტებმა მას სთხოვეს აზრი გამოთქვა ოლიმპიადის მონაწილე ფიგურისტ ქალებზე.

— პეგი ფლემინგი. — თქვა კოუდელკამ, — ყოველმხრივ სრულყოფილი ფიგურისტია. მან გამოავლინა ყველაფერი, რაც შეიძლება ფიგურისტმა გააკეთოს. მაგრამ ოლიმპიურმა თამაშებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ევროპელი სპორტსმენი ქალები უკვე კვალში ჩაუდგნენ გრენობლის ოქროს მედლის მფლობელს. აქ ტალანტების მთელ პლეადას გაბი და ჰანა უდგანან სათავეში. ზაიფერტი მეჯერ არ მინახავს ასე სრულყოფილი. მან გრენობლში დიდებულ მებრძოლად წარმოგვიდგინა თავი. ვენსტროსში წარუმატებლობამ ლაბნია ყველა შისი გულშემატკივარი, მაგრამ თავად გაბის ვერაფერი დააკლო. აქ მან კვლავ მოიკრიბა ნებისყოფა და ჩინებულად გამოვიდა.

მე პირველმა მივულოცე ვერმანელ ფიგურისტს ოლიმპიური ხამმაგი ნატრომი. ხაწვრთნელი ვარჯიშის დროს ჰანაც ასრულებს ამას. მაგრამ ჩვენ ოლიმპიადაზე რისკი არ გავწიეთ, თუმცა ჰანამ თავისი ნებისმიერი პროგრამა საკმაოდ ვამდიდრა ურთულესი ორმაგი ნატრომებით.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება: გრენობლის ყინულზე გამოჩნდნენ „პატარები“, 14 წელზე ნაკლები ასაკის ფიგურისტები. ეს მოწმობს, რომ მწვრთნელებმა უკვე დაიწყეს გუნდების შექმნა მომავალი ოლიმპიადისთვის.

ვის უღიმის ჩემპიონობა?

მოკეისტთა ტურნირზე მდგომარეობა საგრძნობლად დაიძაბა.

15 თებერვლის შეხვედრების უფერტურა აშშ—გდრ-ის გუნდების მატჩი გახლდათ. პირველსავე პერიოდიდან ამერიკელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს — 6:4.

„დიდი ოთხეულიდან“ ყინულის ხარბიელზე პირველი კანადა და შვეცია გამოვიდნენ.

კანადელთა განუწყვეტელი იერიში პირველ პერიოდში ქარიშხალს მგავდა. 18 წუთის შემდეგ ისინი უკვე წინ იყვნენ — 2:0. მეორე პერიოდმა უშედეგოდ განვლო, თუმცა თამაშის ტემპი არ შენელებულა. მესამე პერიოდში შვედები შესამჩნევად გააქტიურდნენ, მაგრამ მეტოქეებს არც კანადელები უდებდნენ ტოლს. მატჩის მიწურულს მათ კიდევ ერთი შაიბით განამტკიცეს უპირატესობა — 3:0.

უაღრესად დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა შეხვედრამ.

თამაში წუთის დაწყებულიც არ იყო, რომ საბჭოთა მოკეისტებმა ანგარიში გახსნეს — 1:0. მაგრამ ჩეხოსლოვაკიელები არ დაბნეულან, მაგ. იშვიათი სიმტკიცე გამოავლინეს და გამარჯვებას პირველ პერიოდშივე ჩაუყარეს საფუძველი — 3:1.

მეორე პერიოდში ჩვენებმა შეამცირეს სხვაობა — 2:3, მაგრამ შეხვენების წინ ჩეხოსლოვაკიელებმა მეოთხე შაიბა გაიტანეს.

ბრძოლამ კულმინაციას მესამე პერიოდში მიაღწია. პირველ წუთებში ჩეხოსლოვაკიელებმა კიდევ ერთი შაიბა მოათავსეს ჩვენების კარში. საბჭოთა მოკეისტებს მონდომება არ დაუკლიათ, მაგრამ ხაბოლოო გამარჯვება მაინც ჩეხოსლოვაკიელებს ხვდათ — 5:4.

ჩვენი გუნდის შარცხი ნამდვილი ხენხაცია. 1963 წლიდან დღემდე მას არც ერთი მატჩი არ წაუგია მსოფლიო პირველობასა და ოლიმპიურ თამაშებში.

ახლა ოლიმპიური ოქროს მედლების ბედი დამოკიდებულია დღევანდელ მატჩებზე: სსრ კავშირი — კანადა, ჩეხოსლოვაკია — შვეცია.

* * *

ხურათზე: კანადელები გამარჯვების შემდეგ.

ტელეფოტო ა. გურასაშვილისა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 თებერვლისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	6	5	0	1	43—10	10
ჩეხოსლოვაკია	6	5	0	1	31—15	10
კანადა	6	5	0	1	28—10	10
შვეცია	6	4	0	2	21—16	8
აშშ	6	2	0	4	22—27	4
ფინეთი	5	2	0	3	12—21	4
გფრ	5	0	0	5	8—33	0
გდრ	5	0	0	5	9—41	0



ზაფთრის X ოლიმპიური თამაშები-ჟუენოჯური 1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბრინჯაოს“ სამეული

მოთხილამურე ქალთა ესტაფეტაში (3×5 კმ) სსრ კავშირის გუნდს (ა. კოლჩინა, რ. აჩკინა, გ. კულაკოვა) I და II ეტაპებზე საქმე ცუდად წაუვიდა: ჯერ კოლჩინამ დაკარგა ძვირფასი წამები, შემდეგ — აჩკინამ. ბოლო, III ეტაპზე გ. კულაკოვა თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ თანაგუნდელთა დანაკარგის ამოგება უკვე შეუძლებელი იყო.

ესტაფეტის დასაწყისიდან ბოლომდე ლიდერობდა ნორვეგიის ნაკრები. ამ გუნდის წევრებმა პირველი ორი ეტაპი 38 წუთსა და 27,5 წამში დაფარეს. მეორე შედეგი ჰქონდათ შვედებს — 38.43,4, მესამე — სსრ კავშირის ნაკრებს — 39.04,0.

გ. კულაკოვამ დისტანცია კარგად განვლო (19.09,6). ოდნავ უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდათ ნორვეგიელ გ. ნორდეს (19.02,5) და შვედ ბ. მარტინსონს (19.07,4). კულაკოვამ ის მაინც შეძლო, რომ ფინეთის გუნდს დაწინაურების საშუალება არ მისცა, ამის საშიშროება კი იყო, რადგან კულაკოვას თანაგუნდელები საგრძნობლად ჩამორჩნენ მეტოქეებს. საბოლოოდ, ჩვენი გუნდი III ადგილზე დარჩა — 58.13,6 (ნორვეგიელებთან 43,6 წამი წავაგეთ, შვედებთან — 22,6). ამგვარად, ნორვეგიის ნაკრები I იყო — 57.30,0, შვეციისა კი — II — 57.51,0.

● გრენობლის გალამაზებისთვის მარტო ამ ქალაქის მკვიდრნი როდი ზრუნავენ. სახელგანთქმულმა საკურორტო ქალაქმა კანმა ამ დღეებში თამაშების მონაწილეებს სამი ტონა მიმოზა გაუგზავნა, ხოლო მეორე სამხრეთულმა ქალაქმა ერმა გრენობლს 100 ძირი მარადმწვანე პალმა გადასცა ოლიმპიური სოფლის შენობების დასამშვენებლად.

● ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონს ფრანგ ჟან-კლოდ კილის შეჯიბრებებზე 14 წყვილი „მკაცრ კონკურსში“ ნაცადი თხილამური „დაჰქონდა“. ფრანგი სამთომოთხილამურის ამ აღჭურვილობაში უკანასკნელი როლი როდი შეასრულა მისმა მამამ, რობერტ კილიმ. მან 10 წლის წინ დადო სიტყვა: ჟან-კლოდისგან ისეთ სპორტსმენს გამოვიყვან, ავსტრიელი ტონი ზაილერი რაღა სახსენებელი იქნებაო. მამის ოცნებას ფრთა შეესხა. ვაკე ვალში არ დარჩა. „ამბობენ, პირველი ოლიმპიური სტარტის წინ კილის უთქვამს: გავიმარჯვებ, რომ მამას ვასიამოვნოო.

● 13 თებერვალი სარეკორდო იყო მაყურებელთა რიცხვის მხრივ. ამ დღის შეჯიბრებებს 411 ათასი კაცი დაესწრო.



მინერალური ღუალი... ოლიმპიურ სარბიელზე

გრენობლის ყინულის სტადიონი დიდ გასაჭირში აგდებს ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს. მოციგურაოეთა შეჯიბრებების მონაწილეებს ჯერ საყვედური არ უთქვამთ ყინულის გამო და ეს სტადიონის მუშაკების დიდი დამსახურებაა.

— პირველ ყოვლისა, დაგვეხმარნენ შვედები, — გვიამბობს პრესცენტრის შეფი პოლ ბლანი. საციგურაოს სკანდინავიური სისტემით ვყინავთ და ყინული უფრო მაგარი გამოდის. სპორტსმენები უკვე ლაპარაკობენ „გრენობლის სწრაფ ყინულზე“. ბლანმა აღნიშნა რა დაბრკოლებების გადალახვა მოუხდათ შეჯიბრების ორგანიზატორებს. სტადიონი შუა ქალაქშია. ამიტომ ყინულს ყოველდღე აცვივა მტვერი და ფაბრიკა-ქარხნების კვამლისგან წარმოქმნილი ქიმიური ნალექები.

მაგრამ სტადიონი ამისთვისაც კარგადაა მომზადებული. ყინული ყოველდღე იფარება სპეციალური შემადგენლობით, რომელიც არავითარი ნივთიერებით არ იხსნება და მტვერს არ იწოვს.

რა ხდება დარბაზში, სადაც ფიგურისტები გამოდიან? ყინულის სიმაგრის პრობლემა იქაც დგას. მოედანზე ყოველდღე ასხამენ 15 ათასამდე ლიტრ მინერალური მარილებით მდიდარ წყალს. ამის შედეგად ყინული გამუდმებით ინარჩუნებს სიმაგრეს.

გედნიერი ტოინი

შვედმა ტანვარჯიშის მასწავლებელმა, 30 წლის ტოინი გუსტაფსონმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა 10 კილომეტრზე ოლიმპიურ რბოლაში. მილოცვებს რომ იღებდა, ტოინის გვითხრა:

— მე მარტო თქვენს სახელოვან თანამემამულეებს კი არა, ძალიან ძლიერ ფინელ მოთხილამურეებსაც მოვუგე. მაგრამ ფინელი სპორტის მოყვარულები უკმაყოფილო მაინც არ უნდა იყვნენ, — მე ხომ წარმოშობით მათი ქვეყნიდან ვარ. მეორე მსოფლიო ომის დროს ფინელი ბავშვების ერთი ჯგუფი შვეციას შეაფარეს. მეც გახიზნულთა შორის ვიყავი და შვეცია ჩემს მეორე სამშობლოდ იქცა.

გუსტაფსონმა გვითხრა, რომ შისი ქმარი — ასარ რენლუნდი ცნობილი მოთხილამურეა.

— ვფიქრობთ, რომ ჩვენი შვილიც კარგი მრბოლელი გაიზრდება, — გვარწმუნებს ტოინი. — თუ ასე არ იქნა, მემკვიდრეობას აღარ, ვიწამებ.

ტოინი გუსტაფსონმა 1962 წლიდან ხუთჯერ მოიპოვა შვეციის პირველობა 5 და 10-კილომეტრიან დისტანციებზე. ინსბრუკში, წინა ოლიმპიადაზე, მან მხოლოდ VI და VIII ადგილები დაიკავა.

ეს ტანმორჩილი ქერა ქალი (ტოინი ტანად 162 სანტიმეტრია და 59 კილოგრამს იწონის) გამოგვიტყდა, რომ სტარტამდე ოცნებასაც ვერ ბედავდა ოლიმპიურ ოქროს მედალზე.

— რუსი ქალები უფრო ძლიერები მეგონენ, — ამბობს ჩემპიონი. — მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალ რბოლაში, ისევე როგორც ესტაფეტაში, ისინი ფავორიტები იქნებიან.

ტოინის გკითხეთ, როგორ გრძნობდა თავს დისტანციაზე.

— ძალიან რბილი თოვლი იყო, — გვიპასუხა სპორტსმენმა. — მაგრამ მე განსაკუთრებული სიძნელე არ მიგრძვნია კარგი საცხის წყალობით.

— დღევანდელი გამარჯვება ყველაზე დიდი მწვერვალია ჩემს სპორტულ კარიერაში, — გვითხრა საუბრის დასასრულს ტოინი გუსტაფსონმა. — ახლა, რასაკვირველია, მეორე ოქროს მედალზეც ვოცნებობ. მაგრამ თუ ეს მედალი ვერ მოვიპოვე, მე მაინც გულშვიდად დავტოვებ დიდ სპორტს, დავტოვებ იმ შეგნებით, რომ რაც შემეძლო, გავაკეთე ომაზე მეტიც კი.

ი. ბოჩკარიოვი,
გ. კონოვალიუკი.
(საკადესი).

კანადელმა მოთხილამურე გოგონამ ნენსი გრინმა ბრწყინვალედ გაიარა გიგანტური სლალომის ურთულესი დისტანცია და ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა.

სურათზე: ნ. გრინი შეჯიბრებისას.

ა. მ. მხეიძე

95 წლის ხნოვანებას მიღწეულ ღრმა მოხუცებულ კაცს, დამშვენებულს პატრიარქული თეთრი წვერით, წარმოიდგენთ ყოველნაირად, მაგრამ არა ამხედრებულს აგელვებულ ცხენზე, მოჯირითეს ახალგაზრდებთან მხარდამხარ, რომლებიც თავიანთი ასაკით მას მეოთხე თაობად ერგებიან.

ასეთი იყო ბოლო ხანებამდე ჩვენი უხუცესი ცხენოსანი, ვეტერანთა ვეტერანი, მუდამ ხალისიანი და შემართებული ადამიანი—ალექსანდრე მიხეილის ძე მხეიძე.

მოსკოვის, თბილისის, ქუთაისის, სტავროპოლისა და სხვა ქალაქების დიდ იპოდრომებზე შეკრებილი ათეულობით ათასი მაყურებელი მქუხარე ტაშით ეგებებოდა მხედარს, რომელიც ყოველთვის თავში მიუძღოდა ხოლმე საქართველოს გუნდს და გამარჯვების რწმენას უსახავდა ახალგაზრდა სპორტსმენებს.

და აი, ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობამ ჩვენს რიგებს გამოაკლო ღვაწლმოსილი ცხენოსანი, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ წევრი მისი დაარსების დღიდან, საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის ასისტენტი ა. მ. მხეიძე.

ა. მხეიძე დაიბადა სოფელ თერჯოლაში 1873 წელს, აქვე მიიღო დაწყებითი განათლება, რის შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა სამეურნეო ორგანიზაციებში ჯერ ჭიათურაში, ხოლო შემდეგ, 1947 წლიდან — ზესტაფონში.

ა. მხეიძე იყო ქართული ეროვნული ცხენოსნური სპორტის უანგარო, დაუზარელი პოპულარიზატორი, უყვარდა ჩვენი ზეცა, მიწა-წყალი, რომლის დაცვასაც მისი სამი ვაჟიშვილი შეეწირა დიდ სამამულო ომში.

ცხენოსნურ სპორტში დიდი დამსახურებისთვის ა. მხეიძე მრავალჯერ იყო დაჯილდოებული სამახსოვრო ოქროს მედლებით, ფეტონებით, დიპლომებით, სიგელებით, პრემიებით.

ჩვენს შორის აღარაა მუდამ მხნე და ჭარმაგი, სიცოცხლეზე ჭაბუკურად შეყვარებული ა. მ. მხეიძე, მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ახლობლებისა და მეგობრების გულებში.

ამხანაგების ჯგუფი.

პირველსავე ტურნირში

მორეზ-ლე-რუსში (საფრანგეთი) დამთავრდა ევროპის იუნიორთა პირველი ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. 10 კილომეტრზე რბენაში შესანიშნავად იასპარეზა ი. სკობოევმა (სსრ კავშირი) — 31.40,8. მან პირველობა დაისაკუთრა. ნორვეგიელ ი. ოდოვარს სკობოევმა 22 წამით აჯობა. გოგონების 5 კმ რბენაში გაიმარჯვა 15 წლის ფინელმა ჰ. კუნტოლამ — 20.48,2. ტარტუელმა მოსწავლემ ა. კარუმ ვერცხლის მედალი მოიპოვა — 21.02,1.

ორვიდში რბენა მოიგო ხ. იურისმა (სსრ კავშირი), მაგრამ ხტომებში უპირატესობა დაკარგა და საბოლოოდ V ადგილს დასჯერდა — 441,1 ქულა. ჩემპიონი გახდა ფინელი რ. მიეტინენი — 477,38. ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესი იყო ნორვეგიელი ვ. კონგსგორდი — 211,9. იგი 68,5 და 66 მეტრზე გადახტა.

საბჭოთა გოგონებმა ბრინჯაო მოიპოვეს ესტაფეტაში 3×5 კილომეტრზე—1:06.43,5. ოქროს გდრ-ის მოთხილამურეები დაეპატრონენ — 1:03.59,3. ვაჟთა ესტაფეტაში 3×10 კილომეტრზე პირველი ადგილი წილად ხვდა ნორვეგიის ტრიოს. ჩვენი სპორტსმენები მხოლოდ V ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ძალებს სინჯავენ

ამერიკაში ზამთრის მძლეოსნური სეზონი ტრადიციული „მილროუზის თამაშებით“ დაიწყო და პირველი შეჯიბრებები ქვეყნის დიდ ქალაქებში გაიმართა. ტურნირებში სხვა ქვეყნების ათლეტებიც მონაწილეობენ. ფაქტიურად, ეს შეჯიბრებები ძალთა შემოწმებაა აშშ-ის იმ ღია ჩემპიონატის წინ, რომელშიც, როგორც ცნობილია, საბჭოთა სპორტსმენებიც (მათ შორის სოხუმელი ვ. სანეევიც) ჩაებმებიან.

ნიუ-იორკში, ოკლენდში, ალბუკერკში მოაასპარეზეებმა რამდენიმე კარგი შედეგი აჩვენეს. მაგალითად, ოკლენდსა და ალბუკერკში ვ. ჰეინესმა, ჩ. გრინმა, მ. პენდერმა და რ. მათსონმა 60 იარდი ერთნაირ დროში (6 წამი) გაირბინეს. ნიუ-იორკში ეს დისტანცია იამაიკელმა ლ. მილერმა მოიგო—6,1. ეს ის მილერია, რომელსაც თვით ამერიკელი სპეციალისტები სპრინტში მეხიკოს ოქროს მედლის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად მიიჩნევენ.

880 იარდზე სამივე ქალაქში გაიმართა შეჯიბრება. ყველაზე კარგი შედეგი (1.52,2) ალბუკერკში აჩვენა ჯ. ტეგიუმ. ნიუ-იორკში გამარჯვებული ავსტრალიელი რ. დაბელი 1,1 წამით ჩამორჩა მას. სამაგიეროდ, 3 მილზე მორბენალთა შორის ყველას აჯობა ტ. სმითმა, რომელმაც ოკლენდში ამ დისტანციის გარბენას 13.21,9 მოანდომა, ნიუ-იორკში კი ჯ. იანგმა სმითზე 10 წამით მეტი დრო დახარჯა.

ოკლენდში სიმაღლეზე ხტომაშიც გაცილებით უკეთესი შედეგები მოიპოვეს. მაგალითად, რ. ფოსბიურიმ 214 სმ დასძლია, ნიუ-იორკში უძლიერესმა ჯ. თომასმა კი მასზე 6 სანტიმეტრით ნაკლები, ნიუ-იორკში ჭოკით მხტომელებმა უფრო ისახელეს თავი — რ. სიგრენი 529 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაეცალა, ოკლენდში კი ე. მუსტაკერიმ (ფინეთი), ჭ. პაპანიკოლაუმ (საბერძნეთი) და მასპინძელთა წარმომადგენელმა ჯ. ვოგმ მხოლოდ 504 სანტიმეტრი გადალახეს.

ნიჭიერმა ბირთვის მკვრელმა ჯ. ვუდსმა ოკლენდში ასპარეზობის შემდეგ (19,93 მ) ალბუკერკს მიაშურა და ეს შედეგი 47 სანტიმეტრით გაუმჯობესა.

ამერიკის ღია ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის რამდენიმე ათლეტიცაა მიწვეული. ისინი შინ ვარჯიშობენ და ღია სარბიელზე გამოსცადეს თავი. ავსტრალიელმა რ. ლეიმ 100 მეტრი პირქარში 10,4 წამში გაირბინა. 17 წლის გოგონამ მ. კეირდმა კი 100 მეტრზე 11,6 წამი აჩვენა. მ. ტოლბერტი 789 სმ სიგრძეზე გადახტა. ახალზელანდიელმა რ. თომასმა სიგრძეზე ხტომაში ამ ქვეყნის სპორტსმენებიდან პირველმა დასძლია 804 სმ.



ქალათბურთი. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „ა“ კლასი. სპორტის სასახლე. **დღეს.** „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი). ლენინის სახ. სპორტდარბაზი. **18 თებერვალი.** „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი). მატჩების დასაწყისი 20 ს. სპორტის სასახლე. **19 თებერვალი.** სსრ კავშირი (ნაკრები) — „დინამო“ (თბილისი). **20 თებერვალი.** სსრ კავშირი (ნაკრები) — საქართველო (ნაკრები). მატჩების დასაწყისი 20 ს.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.